



სააპელაციო საბჭოს  
ბადაყვივთილიება  
ქ. თბილისი



MES 7 22 0001148257



23/09/2022

**შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს  
სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ**

2022 წლის 21 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1105675) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის № 1081311 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2022 წლის 22 სექტემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

## საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა "რეცა"-ს (ს/კ:216305200) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1105675).
1. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 23 სექტემბრის №1147570 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე  
სუმბაძე არჩილ

